ხელშეკრულება № 1102/16/9

ქ. თბილისი 28/11/2016 წ.

ერთის მხრივ, **ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის ¿14 ხელოვნების სკოლა** (შემდეგ – "შემსყიდველი") მისი დირექტორის ნანა შერვაშიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „mr.Print-Georgia"** მისი დირექტორის, ლევან ზაქრაძის სახით (შემდეგ – "მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია კარტრიჯების დამუხტვა. (CPV კოდი 30125100)

1.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი წლის ვადით, მხარეთა მისი ხელმოწერის მომენტიდან.

1.2. "მომსახურების" შესაბამისი მახასიათებლები და ფასი დგინდება „შემსყიდველის" მიერ მოწოდებული შესაკეთებელი კარტრიჯების რაოდენობის მიხედვით.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.2. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

2.3. კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები; ხარისხიანად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაწიოს „მომსახურება".

2.4. "შემსყიდველი" ვალდებულია დროულად და სრულად აანაზღაუროს ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

3. "მომსახურების" ხარისხი

3.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის" მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. "მომსახურების" გაწევის წესი, მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ადგილი

4.1. „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" „მომსახურებას" გაუწევს შესაკეთებელი კარტრიჯების მოწოდებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს გაწეული მომსახურეობის საფასურს დღგ-ს და ტრანსპორტირების ჩათვლით.

4.3. ანგარიშსწორების განსახორციელებლად "მიმწოდებელმა" უნდა გამოწეროს სასაქონლო ზედნადები და წარმოადგინოს ინვოისი.

4.4. მომსახურების გაწევის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.5. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

5. პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება დროული, ხარისხიანი და დააკმაყოფილებს აღნიშნულ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

5.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3. „მომსახურების" გაწევის დაყოვნების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია გადაუხადოს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე „მომსახურეობის" საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით; შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

5.4. „შემსყიდველის" მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით.

5.5. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება 7(შვიდი) კალენდარულ დღეში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

5.6. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
5.7. ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

5.8 ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
6.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
6.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. "შემსყიდველს" ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ "მომსახურების" გაწევის კონტროლი და/ან შეამოწმონ, სრულად არის თუ არა გაწეული "მომსახურება".
7.2. "მიმწოდებლის" მიერ შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ორივე მხარე.
7.3. ყოველთვიურ ერთჯერად ინსპექტირების ხარჯს გაიღებს ''მიმწოდებელი'',დამატებით ინსპექტირებისას ხარჯს აანაზღაურებს ''შემსყიდველი''.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის გარემოებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.
8.2. "მიმწოდებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები.

9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულების სრულ ამოწურვამდე.
9.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
9.3. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას, არსებითად იცვლება ხელშეკრულების პირობები.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.
10.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. მათ შორის კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.
10.3. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება/დანართი/დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.4. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა, არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.
10.5. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი ცვლილება/დანართი/დამატება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის ¿14 ხელოვნების სკოლა მის: ქ. თბილისი, დიღმის მასივი 1კვარტ. 3ა კორპუსი. ს/კ: 202053295 დირექტორი: ნანა მეძმარიაშვილი	**მიმწოდებელი** შპს ,,mr.Print-Georgia'' მის: საქართველო, ქ.თბილისი გობრონიძის 1 B35 ს/კ: 400045483 ტელ: 577 344 909 საბანკო რეკვიზიტი: სს თი-ბი-სი ბანკი | ცენტრალური ფილიალი | TBCBGE22 | GE41 TB74 9343 6080 1000 03 (GEL) დირექტორი: ლევან ზაქრაძე

მიღება ჩაბარების აქტი N 201992

შ.პ.ს mr.P rint-Georgia
თარიღი:29/11/2016

ს/კ: **400045483**

კოდი: **TBCBGE22**

ა/ა **GE41 TB74 9343 6080 1000 03**

საბანკო რეკვიზიტი: ს.ს "თიბისი" ბანკი

დამკვეთი: ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის ¿14 ხელოვნების სკოლა

ს/კ: 202053295

მის: ქ. თბილისი, დიღმის მასივი 1კვარტ. 3ა კორპუსი.

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის ¿14 ხელოვნების სკოლა,** მისი დირექტორის ნანა მეძმარიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს **''mr.Print-Georgia''** მისი დირექტორის ლევან ზაქრაძის სახით ვადასტურებთ, რომ შპს ''mr.Print-Georgia'' –მ გადასცა, ხოლო ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის ¿14 ხელოვნების სკოლამ მიიღო კარტრიჯის დამუხტვა, რომლის ღირებულება შეადგენს 15.00 (თხუთმეტი) ლარს.

<u>გადავეცი</u>

შპს ''mr.Print-Georgia''

ს/კ - 400045483

ლევან ზაქრაძე

<u>მივიღე</u>

ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის ¿14 ხელოვნების სკოლა
ს/კ - 202053295

ნანა მეძმარიაშვილი